ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 6, 2020

ლელა ჩოთალიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

არგონავტიკის მინიების წარმომავლობის საკითხისთვის

საკვანძო სიტყვები: მინიასი, მინიები, არგონავტები, პელასგები.

ბრინჯაოს ხანის საბერძნეთის ეთნიკური შემადგენლობის საკითხი მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში დავას იწვევდა. მას შემდეგ, რაც გაიშიფრა B ხაზოვანი წარწერები, ნათელი გახდა, რომ როგორც კონტინენტურ საბერძნეთსა და ეგეიდაში, ასევე ხმელთაშუა ზღვისპირეთის ზოგიერთ კუნძულზე ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებში ბერძნები უკვე მოსახლეობდნენ. ძნელი სათქმელია, ჰქონდათ თუ არა მათ იმ შორეულ წარსულში ერთი განმაზოგადებელი სახელწოდება. როგორც ცნობილია, ჰომეროსი ამ ფუნქციით გამოიყენებს სამ ეთნონიმს: აქაველებს (Ἀχαιοι), დანაელებსა (Δαναόι) და არგიველებს (Ἀργεῖοι). [1] ანტიკური წყაროები საბერძნეთის მოსახლეობას სხვა სახელწოდებებითაც მოიხსენიებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტერმინების დიდი ნაწილი ან წინაბერძნულ, ან ცალკეულ ბერძნულ ტომებს აღნიშნავდა. მათ

[1] Thuc. 1. 3; ГорДезиани 1978, 172-74; გორდეზიანი 1970.

შორის უთუოდ იპყრობს ყურდღებას Μινύαι (მინიები), რომელიც ბერძნულ წყაროებში გარკვეული დროიდან აქაველების, დანაელების ან საერთოდ ელინების სინონიმადაც კი გამოიყენება. როგორც ჩანს, დასაწყისში Μινύαι მხოლოდ არგონავტებთან იყო დაკავშირებული. უფრო მეტიც, შესაძლოა, იგი თავდაპირველად მხოლოდ მინიასის (Μινύας) უშუალო შთამომავლებზე მიუთითებდა.

სავსებით ბუნებრივად ისმის კითხვა, ვინ იყვნენ მინიები, როდის შემოდის ეს ტერმინი ბერძნულ ტრადიციაში და რა პერიოდიდან შეიძლება ვივარაუდოთ მათი სახელის განზოგადება არგონავტების აღსანიშნავად.[2]

ანტიკურ წყაროთა უმეტესობა სახელწოდებას Μινύαι უკავშირებს ორქომენოსის ლეგენდარულ მეფე მინიასს (Μινύας), [3] რომელსაც ზოგიერთი, ფერეკიდეს მსგავსად, ორქომენოსის შთამომავლად აცხადებს, სხვები კი – სიზიფოსის.[4] დიონისიოსი, თავის მხრივ, მინიასს არესის ძეობას მიაწერს, ხოლო არისტოდემოსი – ალეოსის. [5] პავსანიასი კი გვაცნობებს, რომ ქრისესა და არესის ვაჟს, ფლეგევსს შვილი არ ჰყავდა, ამიტომ მეფობა გადავიდა პოსეიდონისა და ქრისოგენეას (ალმას ქალიშვილი) ვაჟზე – ქრისეზე, რომლის შვილი იყო მინიასი და აქედან გამომდინარე, ტომს, რომელსაც იგი მართავდა, ეწოდა მინიები.[6]

---

[2] არგონავტთა ლაშქრობას კოლხიდაში ანტიკური წყაროები ერთხმად მიიჩნევენ ბერძენთა პირველ შორეულ ექსპედიციად, რომელიც, მითოლოგიური ქრონოლოგიის მიხედვით, ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო.

[3] Hederich 1770.

[4] Schol ad Pind. *Ol.* 14 5.

[5] Schol ad Pind. *Ist.* 1. 122.

[6] Paus. 9. 36. 3.

მინიასისა (Μινύας) და მინიების (Μινύαι) ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მეცნიერებაში არ არის აზრთა თანხმობა. ზოგნი აქ იმავე ფუძეს ხედავენ, რომელიც კრეტის ლეგენდარული მეფის, მინოსის (Μίνως) სახელშია;[7] სხვანი ვარაუდობენ, რომ ფუძე უნდა გავიაზროთ როგორც „ბატონი, მეუფე“; [8] ასევე არსებობს მოსაზრება, რომ იგი მომდინარეობს ატიკურ დიალექტში დადასტურებული სახელიდან μινυόν (წარმოადგენს μινύρεσθαι-ს ძირს).[9]

ზოგიერთი ანტიკური წყაროს მიხედვით, მინიასი, რომელიც ორქომენოსის აღმშენებლად ითვლება, იოლკოსიდან არის წარმოშობით, მაგალითად აპოლონიოს როდოსელთან იოლკოსიდან წასულმა ეოლიდმა მინიასმა ოდესღაც კადმოსელების მომიჯნავე ორქომენოსის ქალაქი დააარსა (Αἰολίδην Μινύην ἐνθεν φάτις Ὀρχομενοῖο δή ποτε Καδμείοισαν μούριον ἄστυ πολίσσαι). [10] დიოდოროს სიცილიელისა და სტრაბონის გადმოცემით კი, პირიქით, მინიათა ერთი ნაწილი ორქომენოსიდან გადასახლდა იოლკოსში.[11]

სავარაუდოდ, მინიები თავდაპირველად ბეოტიური ორქომენოსის გარშემო მცხოვრებ ერთ-ერთ ბერძნულ ტომს წარმოადგენდნენ, რაც ნათლად ჩანს ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“:

„Ὅς ποτ᾽ ἐν Ὀρχομενῷ Μινυείῳ ἶφι ἄνασσεν.“

(რომელიც მინიურ ორქომენოსში მბრძანებლობდა).

(Hom. *Od.* 11. 284).

---

[7] Der Kleine Pauli 1979, 1344, 1345.
[8] Pape 1884, 925-29.
[9] Roscher 1890-97, 3022.
[10] Ap. Rhod. *Argon.* 3. 1094-1095.
[11] Diod. 2. 40; Strab. 414.

„Οἳ δ᾽ Ἀςπεδόνα ναῖον ἰδ᾽ Ὀρχομενὸν Μινύειον.“
(რომლებიც სახლობდნენ ასპედონსა და მინიურ ორქომენოსში).

(Hom. *Il.* 2. 511).

პავსანიასი გვაცნობებს, რომ თავდაპირველად ორქომენოსი ანდრეისად (Ἀνδρηίς) მოიხსენიებოდა, ხოლო ორქომენოსი ეწოდა მინიასის ვაჟის მიხედვით, თუმცა ბეოტიელ ორქომენოსელებს, არკადილებისაგან განსხვავებით, თავისი ძველი სახელიც (მინიები) შემორჩათ.[12]

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ მინიური ორქომენოსი მიკენურ ეპოქაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. აქ ჯერ კიდევ ჰ. შლიმანმა აღმოაჩინა გუმბათოვანი სამარხი, რომელიც კოპაისის ტბასთან მდებარეობს და ანტიკურ ხანაში ცნობილი უნდა ყოფილიყო, როგორც „მინასის საგანძური“. პავსანიასის მიხედვით, მინიასმა ადამიანთა შორის პირველმა ააშენა ძვირფასეულობის შესანახად ნაგებობა (Θησαυρὸς δὲ Μινύου), სადაც მდებარეობს მინიასისა და ჰესიოდეს საფლავები.[13] ბეოტიური ორქომენოსის ტერიტორიაზე ასევე აღმოჩენილია ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული პრიალა ჭურჭელი, რომელსაც ჰ. შლიმანმა „მინიური საგნები“ უწოდა.[14]

როგორც ჩანს, ორქომენოსი განსაკუთრებით გაძლიერდა მინიების ლეგენდარული მეფის, ეგრინოსის პერიოდში, რომელიც ფრიქსოსის შვილიშვილი და კლიმენეს ვაჟი იყო. პოსეიდონისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ერთ-ერთმა

[12] Paus. 9. 36. 2; 9. 36. 3.
[13] Paus. 9. 39. 3; 9. 39. 2.
[14] Herrmann 1980, 39; Kehnscherper 1973, 57.

თებელმა მოკლე კლიმენე, რის გამოც მინიებმა თებეს წინააღ-მდეგ გაილაშქრეს. მოგვიანებით ჰერაკლემ დაამარცხა და ორ-ქომენოსიდან გაყარა მინიები,[15] რომლებიც ამინთოსის ვაჟის, ფილიპოსის წინამძღოლობით კვლავ დაბრუნდნენ ბეოტიაში, როგორც პლატეელები.[16]

ანტიკურ წყაროთა მიხედვით, თესალიისა (იოლკოსი) და ბეოტიისა (ორქომენოსი) გარდა, მინიები მოსახლეობდნენ კუნ-ძულ თეოსზე, ლემნოსზე, თერაზე, კირენეში, ტრიფილიაში. ტრიფილიას, ისევე როგორც პისატიდსა და კავკონთა მხარეს, ნესტორი მართავდა; ტრიფილებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ამ მხარეში სამი ტომი ბინადრობდა: ეპეელები, რომლებიც იქ ოდითგანვე იყვნენ და შემდეგ დასახლებული ელეელები და მინიები. ზოგიერთი ავტორი მინიების ნაცვლად ასახელებს არკადიელებს, შესაბა-მისად, პილოსი მოიხსენიება ხან არკადიულად, ხან – ტრიფი-ლიურად.[17] პავსანიასის ცნობით, ორქომენოსელი მინიები სახ-ლობდნენ კ. თეოსზეც. ისინი აქ მოვიდნენ ეოლოსის შთამომავ-ლის, ათამასის მეთაურობით.[18]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიკური ხანის ავტორები არ-გონავტებს ძირითადად მინიებად მოიხსენიებენ (პინდაროსი, ჰეროდოტოსი, აპოლონიოს როდოსელი, აპოლოდოროსი, პავსა-ნიასი). როდესაც პინდაროსი IV პითიურ ოდაში გვაცნობებს არგონავტთა ექსპედიციის ძირითადი მიზნის შესახებ, მათ მინიებთან აიგივებს:

---

[15] Apolod. 2. 11; Paus. 9. 37.
[16] Paus. 4. 27. 10.
[17] Strab. 347.
[18] Paus. 7. 3. 3.

„ოქროს ცხვრის საწმისისათვის მიცურავდნენ მინიები, რომლებიც, ღმერთთა მიერ გაგზავნილები, ასრულებდნენ მათ ნებას.“

(Pind. *Pith.* 4. 68-69).

აპოლონიოს როდოსელთან და ორფიკულ “არგონავტიკაშიც“ არგოს მეზღვაურები მინიები არიან: „λευγαλέη Μινύαι” [19], „πευθόμενοι Μινύαι”[20], “ἥρωες Μινύαι”.[21]

ზოგიერთი ანტიკური წყაროს მიხედვით, არგონავტთა შთამომავალი მინიები ცხოვრობდნენ კუნძულ ლემნოსზე, საიდანაც პელასგებმა გამოაძევეს; ამის შემდეგ ისინი ლაკედემონში მივიდნენ და შიკრიკს აცნობეს, რომ იყვნენ არგოს იმ მეზღვაურთა შვილები, რომლებიც ოდესღაც კუნძულ ლემნოსზე გადასახლდნენ. რადგან საზღვაო ექსპედიცია არგოთი ტინდარიდების მოწყობილი იყო, ლაკედემონელებმა შეიფარეს მინიები და მიწებიც გადასცეს; დროთა განმავლობაში მინიები გაამაყდნენ, მოითხოვეს სამეფო ხელისუფლებაში მონაწილეობის მიღება, რის გამოც ლაკედემონელებმა გადაწყვიტეს მათი დახოცვა, მაგრამ ისინი მეუღლეთა დახმარებით გაიქცნენ საპყრობილედან და კვლავ ტეიგეტონზე დასახლდნენ; თერასმა, თებელი ავტესიონის ვაჟმა, პელასგთა მიერ გამოძევებული მინიები წაიყვანა კუნძულზე, რომელიც უწინ კალისტოდ მოიხსენიებოდა, შემდეგ კი, თერასის მიხედვით, თერა ეწოდა; მინიათა უმეტესობა გაბრუნდა პარორეატებისა და კავკონებისაკენ, რომლებიც საკუთარი ქვეყნიდან გააძევეს; მოგვიანებით ეს მინიები დაიყვნენ ექვს

[19] Ap. Rhod. *Argon.* 4. 338.
[20] Ap. Rhod. *Argon.* 4. 1500.
[21] Ap. Rhod. *Argon.* 2. 97; Orphic. 377.

ნაწილად და დააფუძნეს შემდეგი ქალაქები: ლეპრეონი, მაკისტოსი, ფრიქსოსი, არგოსი, ეპიონი, ნუდიონი. სტრაბონის ცნობით, არგონავტთა შთამომავალი მინიები თავდაპირველად კუნძულ ლემნოსიდან ლაკედემონში გაიქცნენ, იქიდან კი – ტრიფილიაში და დასახლდნენ არენის მახლობლად, ჰიპესიად წოდებულ ქვეყანაში, თუმცა, როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს, ძვ.წ. I საუკუნისათვის აქ უკვე აღარ არსებულა მინიების დასახლება.[22]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესო საკითხს წარმოადგენს, რატომ და რა პერიოდიდან მოხდა არგონავტების მოხსენიება მინიებად; რატომ შეერქვათ მინიები არგონავტთა ექსპედიციის იმ მონაწილეებს, რომელთაც არავითარი გენეალოგიური კავშირი არ ჰქონდათ მინიასთან.

პირველად მინიებს არგონავტების მნიშვნელობით პინდაროსის IV პითიურ ოდაში ვხვდებით (ძვ.წ. 462 წ.): [23] არგონავტები მინიებად იწოდებიან, ვინაიდან მათი უმეტესობა პოსეიდონის ძე მინიასისა და ეოლოსის ასულ ტრიტოგენეას შთამომავლად ითვლებოდა. [24] ამ მოსაზრებას ამყარებს აპოლონიოს როდოსელი, რომელიც გვაცნობებს: „ირგვლივ მოსახლენი ყველა გმირს (არგონავტებს) მინიებს ეძახდნენ, რადგან მათგან მრავალნი და საუკეთესონი ამაყობდნენ, რომ მინიასის ქალიშვილის სისხლისაგან იყვნენ. თავად იასონი კი მინეიდი კლიმენეს ასულმა – დედა ალკიმედემ შობა“.[25]

---

[22] Strab. 347.
[23] Der Kleine Pauli 1979, 1344, 1345.
[24] Schol ad Pind. *P*4. 122.
[25] Ap. Rhod. *Argon.* I. 229-233.

თქმულებათა მიხედვით, მინიასი (ორქომენოსის ძე) მინიური ორქომენოსისა [26] და იოლკოსის [27] დამფუძნებლია; მინიასის ვაჟი არის ათამასი[28], რომელიც მინიური ორქომენოსის მეფედ ითვლება [29]; ათამასის ვაჟია ფრიქსოსი, რომელთანაც დაკავშირებულია ოქროს საწმისი; ხოლო იასონი, არგონავტთა წინამძღოლი, როგორც ვიცით, ათამასის ძმის, კრეთევსის შვილიშვილია; თავად კრეთევსი მოიხსენიება მინიელთა დასახლების, თესალიური იოლკოსის მეფედ; ამასთანავე, ერთ-ერთი ცნობილი არგონავტი, კერძოდ ერგინოსი, მინიასის შთამომავლად ითვლება. [30] ყოველივე ეს, როგორც ჩანს, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ფრიქსოსის წყალობით კოლხიდაში მოხვედრილი ოქროს საწმისის წამოსაღებად შეკრებილი ექსპედიციის მონაწილეებს მინიები შერქმეოდათ. საფიქრებელია, რომ ბერძნულ პოეტურ ტრადიციაში მინიების სახელი არგონავტების ეთნიკური წარმომავლობის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად მხოლოდ ჰომეროსის შემდგომ პერიოდში იქცა, რადგან ჰომეროსი ბერძნებს მოიხსენიებს აქაველებად, არგიველებად, დანაელებად, ხოლო მინიების შესახებ არაფერს გვეუბნება, თუმცა მისთვის, როგორც ჩანს, ცნობილია არგონავტთა ლაშქრობის შესახებ. პოეტი ამბობს:

„მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა, არგომ
ყველასათვის სასურველმა აიეტისაგან მომავალმა, გასცურა.“

---

[26] Ap. Rhod. *Argon.* 3. 1094-95; Dion. Sic. 2. 40.
[27] Strab. 914.
[28] Schol. Ap. Rhod. 1. 230.
[29] Paus. 9. 34. 6.
[30] Apolod. 1. 16; Ap. Rhod. *Argon.* 1. 186; 2. 896.

(οἴη δὴ κείνη γε παρέπλω ποντοπόρος νηῦς,
Ἀργὼ πᾶσι μέλουσα, παρ᾽ Αἰήταο πλέουσα)

(Hom. *Od.* 12. 69-70)

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ არგონავტები (ანუ მინიები), ერთი მხრივ, აშკარად ბერძნებად მოიაზრებენ [31], ხოლო მეორე მხრივ, ანტიკური ხანის ავტორები მათ ხშირად უკავშირებენ ერთ-ერთ არაბერძნულ ტომს – პელასგებს, მაგალითად, როდესაც აპოლონიოს როდოსელი მოიხსენიებს პელასგების ყანებით უხვ შავ მიწას (2. 50), პელასგების დიდ მთებს (2. 1229), პელასგურ წვეტიან ჯოხს (3. 1323), პელასგიკურ იოლკოსს (1. 906) და პელასგურ ჰერას (1. 14), ყველა შემთხვევაში პელასგებს აიგივებს თესალიასთან, რაც ნათლად ჩანს შემდეგი სტრიქონებიდან:

„რათა აიაელი მედეა უსწრაფესად მისულიყო
პელასგურ მიწაზე პელიასის დასაღუპად სასახლეში.“

(Ap. Rhod. *Argon.* 4. 243)

სენეკასთანაც თესალია პელასგების ქვეყანაა, ხოლო იასონი – პელასგთა წინამძღოლი. ტრაგედიაში „მედეა“ მედეა ამბობს:

„.....ქალიშვილური
მორცხვობა და მამა რომ მემჯობინებინა,
პელასგთა ქვეყანა დაიღუპებოდა წინამძღოლს მოკლებუ-
ლი.“

(Sen. *Med.* 237-39)

ოვიდიუსი კი „მეტამორფოზებში“ ტერმინ პელასგებს მინიე-ბის სინონიმად გამოიყენებს.[32]

---

[31] Ap. Rhod. *Argon;* Pind. *Pith.* 4; Ovid. *Metam.* 7.
[32] Ovid. *Metam.* 7. 133.

მართალია, პელასგებთან დაკავშირებული ზედსართავები, ეპითეტები, ტოპონიმები მრავლად შემორჩა კონტინენტურ საბერძნეთში, მაგრამ უშუალოდ „პელასგები“ ანტიკური პერიოდის ავტორებთან, ჰომეროსიდან მოყოლებული, არ ითვლება ელინური ეთნოსის აღმნიშვნელ სახელწოდებად. მიუხედვად იმისა, რომ ჰომეროსთან არგოსი პელასგიკურია[33], „ილიადას“ მიხედვით, პელასგები ტროელთა მოკავშირები არიან[34], ხოლო დასავლეთ მცირე აზიაში არსებობს პელასგური დასახლება – ლარისა:

„ჰიპოთოოსს მოჰყავდა შუბოსან პელასგთა ტომი,
ნაყოფიერ ლარისაში დასახლებულნი.“

(Hom. *Il.* 2. 840-43)

უფრო მეტიც, ანტიკურ წყაროთა მიხედვით, პელასგები ბარბაროსებად წარმოგვიდგებიან.[35] როგორც ჰეროდოტოსი აღნიშნავს: „პელასგური ტომი, რომელიც ბარბაროსული იყო, არასოდეს გამრავლებულა დიდად“ (τὸ Πελασγικὸν ἔθνος, ἐὸν βάρβαρον, οὐδαμὰ μεγάλως αὐξηθῆναι).[36]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება ავხსნათ სამი სახელწოდების – პელასგების, მინიებისა და ელინების (აქაველები, არგიველები, დანაელები) ურთიერთდაკავშირების არაერთი მაგალითი. მოცემულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბერძენთა წარმოდგენები გმირთა ეპოქის საბერძნეთის ეთნიკური სურათის შესახებ. ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვასხვავოთ

[33] Hom. *Il.* 682.
[34] Hom. *Il.* 10. 428-31.
[35] Herod. 1. 58; Thuc. 4. 4-5; Strab. 321.
[36] Her. 1. 58.

ლეგენდარულ ხანაში მცხოვრები სამი ტიპის ხალხები თუ ტომები:

ა) ისინი, რომელნიც აღიქმებოდნენ არაბერძნებად მათი ისტორიულ ასპარეზზე მოქმედების მთელი დროის განმავლობაში;

ბ) ისინი, რომელნიც თავდაპირველად არ ყოფილან ბერძნები, მაგრამ შემდგომ შეერწყნენ ელინებს;

გ) ისინი, ვინც მათი ისტორიულ ასპარეზზე მოქმედების მთელი დროის განმავლობაში ბერძნებად მიიჩნეოდნენ.

გმირთა ეპოქაში მცხოვრებ ხალხთა განსახლების საერთო სურათი კი ასე წარმოგვიდგება: ეგეოსის ზღვის აუზში თავდაპირველად წინაბერძნული ტომები ბინადრობდნენ; მოგვიანებით ჩნდებიან პირველი ბერძნები და მათთან ერთად მოსახლეობენ სხვა ხალხებიც; შემდგომ ეტაპზე კი საბერძნეთში დომინირებენ ელინები, რომელთაც მოახდინეს სხვა ხალხთა ასიმილაცია და განდევნა.

შესაბამისად, მოცემლ შემთხვევაში შეიძლებოდა შემდეგი ჰიპოთეზის წამოყენება: სავსებით აშკარაა, რომ მინიასის მეფობამდე ორქომენოსში, იოლკოსსა და მიმდებარე რეგიონებში მოსახლეობდა გარკვეული ტომი, რომელსაც თავისი სახელწოდება ექნებოდა. რადგან ანტიკური წყაროები არ გვაძლევენ ზუსტ ინფორმაციას, თუ რა ერქვა მინიასამდე ამ ხალხს, შეიძლება დავუშვათ, რომ მათ მოიხსენიებდნენ პელასგებად. მართლაც, მრავალი ფაქტორი მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ რეგიონში დომინირებდა პელასგური მოსახლეობა მანამდე, სანამ არ გაძლიერდა ელინური ტომი და არ მოხდა წინაბერძნული ხალხების ასიმილაცია ან განსახლება საბერძნეთის ტერიტორიიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია პავსა-

ნიასთან დადასტურებული ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ გამოაძევეს კლესონის ვაჟი პილოსი საკუთარი ქვეყნიდან ნელევსმა და იოლკოსიდან მოსულმა პელასგებმა.[37] სავარაუდოა, რომ გარკვეული პერიოდისათვის დასახელებულ რეგიონში იწყება ბერძენთა წინაპრების აქტიური შეღწევა. ვფიქრობთ, ამაზე უნდა მიუთითებდეს, ერთი მხრივ, მითოლოგიური თვალსაზრისით, ცნობა მინიასისა და მისი გენეალოგიის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, არქეოლოგიური თვალსაზრისით – მიკენური ტიპის სამარხების გაჩენა (კერძოდ, ე.წ. მინიასის გუმბათოვანი სამარხი ან საგანძური). რა თქმა უნდა, აღიშნული ცვლილება არ იყო ლოკალური ხასიათის და წარმოადგენდა იმ პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მიმდინარეობდა ელედაში ბერძნული ელემენტის წამყვანად გადაქცევის მიმართულებით.

ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ორქომენოსის, იოლკოსისა და მიმდებარე რეგიონების მკვიდრთა აღსანიშნავად ანტიკურ წყაროებში ზოგჯერ გამოიყენება ის სახელწოდება, რომელიც აქ წინაბერძნულ მოსახლეობას აღნიშნავდა. შესაბამისად, მინიების ანუ არგონავტების გაიგივება პელასგებთან სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ ანტიკური ხანის ავტორები მათ არაბერძნებად ანუ ბარბაროსებად მიიჩნევენ. გარდა ამისა, პელასგთა ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში იმდენად შეერწყა ელინებს, რომ ბერძენი მწერლები თუ პოეტები (ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში) პელასგებად მოიხსენიებენ იმ ტომებსა და გმირებს, რომლებიც, ტრადიციის მიხედვით, ბერძნებს წარმოადგენდნენ. მაგალი-

[37] Paus. 4. 36. 1.

თად არსებობს მოსაზრება, რომ უწინ დანაელები პელასგებად იწოდებოდნენ, ევრიპიდე „არქელაოსში“ ამბობს:

„ორმოცდაათი ქალიშვილის მამა, დანაოსი
.....
როდესაც მივიდა არგოსში, დააარსა იქ ინაქოსის ქალაქი,
ხოლო ვინც პელასგთა სახელს ატარებდა უწინ,
უბრძანა, მიეღოთ დანაელთა სახელი ელადაში.“
(Nauck. Frag. 230)

ყურადღებას იპყრობს ჰეროდოტოსის ცნობაც: „პალასგები ათენელთა მეზობლებად ითვლებოდნენ ქვეყანაში მაშინ, როდესაც ათენელები უკვე ელინები გახდნენ, აქედან დაიწყო პელასგების ელინებად წოდებაც“.[38]

სავსებით დასაშვებია, ტერმინთა აღრევა გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ ეგეოსის ზღვის აუზში ელინთა გაძლიერების შემდეგ მოხდა პელასგთა ერთი ნაწილის ასიმილაცია, რის შედეგადაც დროთა განმავლობაში ისინი ბერძენთა წარმოდგენაში უკვე ელინურ ტომად აღიქმებოდნენ, ხოლო პელასგები ისევე, როგორც არგიველები, აქაველები, დანაელები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენებოდა ბერძენთა აღმნიშვნელ ერთ-ერთ ტერმინად.

როგორც ვხედავთ, მინიები, რომელთა ეპონიმს უნდა წარმოადგენდეს ორქომენოსის ლეგენდარული მეფე მინიასი, თავდაპირველად ბეოტიური ორქომენოსის გარშემო მოსახლე ერთ-ერთი ტომი იყო, [39] რომელიც დროთა განმავლობაში საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონში გავრცელდა, მაგალითად

[38] Herod. 2. 51.
[39] Hom. *Od.* 11. 284.

თესალიაში (იოლკოსი), თეოსზე, ლემნოსზე, თერაზე, კირენეში, ტრიფილიაში. გარკვეული პერიოდიდან კი ბერძნულ პოეტურ ტრადიციაში მინიების სახელი არგონავტთა აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იქცა და ამასთან ერთად მოხდა მათი დაკავშირება პელასგებთან, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ფაქტი არ უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ანტიკური წყაროები მათ არაბერძნებად მიიჩნევენ, ხოლო ტერმინ მინიების გამოყენება ელინების (აქაველები, არგი-ველები, დანაელები) მნიშვნელობით შედარებით გვიან პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს, რადგან თავად აპოლონიოს როდოსელთან, მართალია, მინიათა სამშობლო ელადაა, მათ ავტორი არსად მოიხსენიებს ელინებად, აქაველებად, დანაელებად ან არგიველებად.

ბიბლიოგრაფია:

გორდეზიანი, რისმაგ. 1970. *“ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Der Kleine Pauli. 1979. *Lexikon der Antike*. Bd. III. München: Deutscher Taschenbuch Verlag.

Greek morphological index (Ελληνική μορφολογικούς δείκτες), *accessed* 2014.

https://en.academic.ru/

Гордезиани, Рисмаг. 1978. *Проблемы Гомеровского эпоса,* Тбилиси: Издательство Тбилисского университета.

Hederich, Benjamin. 1770. *Gründliches mythologisches Lexikon*. Leipzig: Gleditsch

http://www.zeno.org/nid/20002778645

Herrmann, J, eds. 1980. *Kulturgeschichte der Antike, Bd. I. Griechland.* Berlin.

Kehnscherper, Günther. 1973. *Kreta, Mikene, Santorin.* Leipzig: Urania.

Pape, Wilhelm. 1884. *Wörterbuch der Griechischen Eigennamen.* Bd. II. Braunschweig: F. Vieweg.

Roscher, Wilhelm Heinrich. 1890-97. *Ausführlisches Lexikon der Griechischen und Römischen Mythologie.* Bd. II. Leipzig: B. G. Teubner.

Lela Chotalishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

On the Origins of the Mynians of the Argonautica

Key Words: Minyas, Mynians, Argonauts, Pelasgians.

The purpose of this article is to determine who were the Mynians, when does the term come into the Greek tradition and from what period on can we assume it was generalized to mean Argonauts in general.

Based on the Ancient sources, the eponym of the Mynians was the legendary king of Orchomenus, Minyas. It can be said that, at the beginning, the Mynians were one of the tribes living around Orchomenus in Boeotia, who spread to different Greek regions over the course of time. From a certain period onwards, in Greek poetic tradition, the name of the Mynians became a general term denoting the Argonauts, becoming associated with Pelasgians. Though, this fact doesn't indicate that Ancient sources considered them non-Greek. The usage of the word "Mynians" to signify Hellenes must belong to relatively later period, given that in the works of Apollonius Rhodes, the homeland of the Mynians is Hellada but the author doesn't refer to them as Hellenes, Achaeans, Danaans or Argives.